

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

ინფრასტრუქტურა

წელი შეიძლება წარმატებულ წლად ჩაითვალოს მუნიციპალიტეტისთვის. ამ წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

ყველაზე მსხვილი პროექტი ქალაქის გაზიფიცირებაა. გაზიფიცირების ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. 1609 აბონენტს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს ბუნებრივი გაზით. ამ ეტაპზე მოსახლეობის აბონენტებად რეგისტრაცია გრძელდება. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არასოდეს ყოფილა ბუნებრივი გაზი. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ აქ გაზიფიცირების მასშტაბური სამუშაოები 2019 წელს დაიწყო. ქალაქ ჩხოროწყუს სრული გაზიფიცირება 2021 წელს დასრულდება.

ასევე, ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება. ტობავარჩხილის ტბა გამორჩეული ბუნების ძეგლია. ტბამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ მეტი ვიზიტორი შეძლებს მის მონახულებას. პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ბიუჯეტი 5.9 მილიონი ლარია. პროექტის მიხედვით იგეგმება გრუნტის საფარისა და ლითონის თვალამრიდების მოწყობა. ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის ასევე გათვალისწინებულია გადასახედებისა და საპარკინგე ადგილების მოწყობა. ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო ტურისტები ისარგებლებენ გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურით.

ქალაქ ჩხოროწყუსში ევროპული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა. სამ სართულიანი შენობა სრულად აკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებებს. ახალ შენობაში თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო, სასწავლო და საძინებელი ოთახები, ასევე, სპორტული დარბაზი და სამზარეულო. შენობაში გათვალისწინებულია სპეციალური სადგომი ორი სახანძრო და ერთი სამაშველო ავტომანქანისთვის.

განხორციელდა წყალმომარაგების 2 პროექტი; 1) სოფელ თაიაში სასმელი წყლის სისტემა მოწყობა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ბიუჯეტი 60 000 ლარს შეადგენს. პროექტით სასმელი წყლის სისტემით სოფელში მცხოვრები 120 ოჯახი ისარგებლებს. 2) სოფელ ლეწურწუმეში წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა, პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 180 000 ლარით ფინანსდება და ორ ეტაპად ხორციელდება. სასმელი წყლის სისტემით სოფელში მცხოვრები 90 ოჯახი ისარგებლებს

მუხურის თემში, ლუგელას ხეობაში მიმდინარეობს 41.5-მეგავატიანი სიმძლავრის ჰესის - ხობი 2-ს მშენებლობა; ინვესტიციის პირველი ეტაპის ღირებულება 280 000 000 ლარია.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში 1 მილიონი ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მოეწყო ხიდები, ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრი ჯებირები. რეაბილიტირდა შიდა საუბნო გზები.

ქალაქ ჩხოროწყუმში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას საშუალება ექნება სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. პროექტის ბიუჯეტი 775 471 ლარს შეადგენს.

ქალაქ ჩხოროწყუმში საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 280 968 ლარია.

სოფელ ხაბუმეში 60 მოსწავლეზე გათვლილი #3N საჯარო სკოლა მშენდება. 2021 წლიდან მოსწავლეები სრულიად ახალ, თანამედროვე სტანდარტების სკოლაში გააგრძელებენ სწავლას. პროექტის ფარგლებში ეწყობა სკოლის ეზო, მინი მოედანი და ავტოსადგომი, ასევე, შენობა აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

ჩხოროწყუმს მუნიციპალიტეტის 13 საბავშვო ბაღსა და 15 საჯარო სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაფინანსდა. პროექტის ღირებულებამ ლარი შეადგინა.

მთავრობის განკარგულებით, ჩხოროწყუმს მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად 446 000 ლარი გამოეყო. სამუშაოები ყველა სოფელში დასრულებულია

სოფელ ქვედა ჩხოროწყუმში 1,7კმ გზის მონაკვეთზე გზის ასფალტის საფარით რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ბიუჯეტი 497 777 ლარს შეადგენს.

სოფელ კირცხში 3- კილომეტრიანი ბეტონის გზა იგება. პროექტის ფარგლებში ეწყობა სანიაღვრე არხი. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 1 225 000 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია. სამუშაოები 2021 წელს დასრულდება.

სოფელ ლეწურწუმეში „ჯუმითის უბანში, 4-კილომეტრზე ასფალტირებული გზა იგება. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოეწყობა. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 867 596 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია. სამუშაოები 2021 წელს დასრულდება.

სოფელ ხაბუმეში, ცქვიტიშვილების უბანში 3- კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია მომდინარეობს. პროექტის ფარგლებში ეწყობა სანიაღვრე არხი. სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 777 000 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია. სამუშაოები 2021 წელს დასრულდება.

სოფელ ხაბუმეში ეწერის, კალინინისა და ჟულუს უბნებში 8-კილომეტრიანი გზის ასფალტის საფარით რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი გარდამავალია, სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

ქალაქ ჩხოროწყეში 11 ქუჩა რეაბილიტირდება. პროექტის ფარგლებში ქალაქ ჩხოროწყეს 11 ქუჩაზე 5-კილომეტრი ასფალტ-ბეტონის გზა იგება.

ჩხოროწყეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა LED ნათურებით განხორციელდა. პროექტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 250 000 ლარით დაფინანსდა.

ქალაქ ჩხოროწყეს კეთილმოწყობის სამუშაოების მესამე ეტაპის ფარგლებში მრავალსართულიანი ბინების ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდა. პროექტს რეგ.ფონდი 191 443 ლარით ფინანსდება.

სოფელ ნაფიჩხოვოდან ჭოდას მიმართულებით, ხანწკის უბანში მიმდინარეობს 4 კმ. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. სამუშაოები რეგ. ფონდისა და ადგილობრივი ბუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს. პროექტის ბიუჯეტი 860 000 ლარს შეადგენს. პროექტი გარდამავალია და 2021 წელს დასრულდება.

სოფელ ახუთში (მეორე ახუთი) 4 კმ. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხორციელდება. აქედან 3 კილომეტრზე ბეტონის გზა იგება. პროექტი ასევე ითვალისწინებს მდ. ოჩხომრსა და ზანაზე ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობას. პროექტის ბიუჯეტი 2 908 000 ლარს შეადგენს. სამუშაოები 2021 წელს დასრულდება.

სოფელ მუხურში, ლეთოლორდეს უბანში, საავტომობილო გზის 3 კმ. კილომეტრის ასფალტის საფარით რეაბილიტაციის ხორციელდება. სამუშაოები რეგ. ფონდითა და ადგილობრივი ბუჯეტით 636 000 ლარით ფინანსდება.

ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

ადგილობრივი ბიუჯეტით 632 761 ათასი ლარით დაფინანსდა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამები. ისარგებლა 1892-მა ბენეფიციარმა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული 2020 წელს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (დევენილი და არადევენილი) მოქალაქეების პირობების გაუმჯობესების, არსებული პრობლემების შესწავლის, უმუშევართა აღრიცხვის, მათი დასაქმების, ვეტერანთა აღრიცხვის და მათდამი დახმარების გაწევის თვალსაზრისით. სამსახურში დასაქმებულია 6 თანამშრომელი, თითოეულ თანამშრომელს განაწილებული აქვს თავიანთი ფუნქციები. სოციალური სამსახურის ბიუჯეტი 2020 წელს შეადგენს 749400 (შვიდასორმოცდაცხრაათასოთხასი) ლარს.

2020 წელს სოციალურად დაუცველ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ 35 ბენეფიციარზე უფასო კვებისათვის გამოყოფილია 32.000 (ოცდათორმეტიათასი) ლარი გახარჯულია 18000 ლარი. 2020 წელს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ ერთჯერადი

ფულადი დახმარების სახით 394 პროცენტზე გაცემულია 52100 ლარი, სადღესასწაულო და საადდგომო საჩუქრებისთვის მთლიანობაში დაიხარჯა 10000 (ათიათასი) ლარი. სამედიცინო დახმარების სახით 622 პროცენტზე გაცემულია 216402.27 ლარი. სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ გაცემულია 17 ოჯახზე 55000 ლარი.

გაუსაძლისი საბინაო პრობები 64 პროცენტზე 58400 ლარი. ამას დამატებული 30 პროცენტზე შემით უზრუნველყოფაზე 3700 ლარი.

2020 წლის პროგრამული დახმარებები:

1) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით გაცემულია 52-64 ოჯახზე თითოეულ ბავშვზე 40-40 ლარი ყოველთვიურად ჯამში: 92080 ლარი.

2) თირკმლის დიალეზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამით 17-16 პროცენტზე გაცემულია ჯამში - 21240 ლარი.

3) ახალშობილი ბავშვების დახმარების პროგრამით გაცემულია 163 ახალშობილ ბავშვზე 39620 ლარი.

4) უსინათლო მოქალაქეების დახმარების პროგრამით გაცემულია 40 უსინათლო მოქალაქეზე თითოეულზე 250 ლარი ჯამში 10000 ლარი..

5) ას წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარების პროგრამით 5 პროცენტზე გაცემულია თითოეულზე 500-500 ლარი ჯამში 2500 ლარი..

7) დევნილთა დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად გაცემულია 7 პროცენტზე (თითოეულ პროცენტზე 150 ლარი ერთჯერადად) ვეტერანის დაკრძალვა 2 პროცენტზე 500 ლარი ჯამში: 1550 ლარი

8) უსახლკარო მოქალაქეებისა და ოჯახების დროებითი თავშესაფრით (ბინის ქირით) უზრუნველყოფა- თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარი ყოველთვიურად.

დახმარების პროგრამით გაცემულია 17-27 პროცენტზე ჯამში: 26900 ლარი.

11) შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამით 45-62 პროცენტზე სულ (შშმ ბავშვთა დღის ცენტრისათვის სულ გამოყოფილია 6500 ლარი) გახარჯულია 33900 ლარი. (შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

სამედიცინო საშუალებებით (სასმენი აპარატი, ეტლი, სპეცფეხსაცმელი და სხვა) პროგრამით გაცემულია 10 პროცენტზე 4269.20 ლარი.

12. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამით ისარგებლა ერთმა ოჯახმა - ფულადი დახმარება 100 ლარი.

13. მეორე მსოფლიო ომისა და სამხედრო ძალების ომის ვეტერანებზე გაცემულია 3 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე 1000-1000 ლარი, ხოლო 2008 წელს ცხინვალში დაღუპული მეომრის კობა წურწუმის ოჯახზე გაიცა 1500 ლარი. სულ ჯამში: 4500 ლარი.

სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ომების მონაწილეთა და ომისა და სამხედრო ძალების დახმარება (ავღანეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია) -27 ავღანეთის მონაწილეზე ჯამში გაიცა 5400 ლარი.

სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულ ომებში მონაწილე 2 ვეტერანზე გაიცა 200-200 ლარი ჯამში 400 ლარი ხოლო, სამხედრო ძალების 89 ვეტერანზე გაიცა თითოეულზე 200-200 ლარი ჯამში 17800 ლარი

14. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო მონაწილეთა დახმარება- სულ 15 ბენეფიციარი. თითოეულზე 200-200 ლარი. ჯამში : 3000 ლარი

ტურიზმი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს გააჩნია დიდი პოტენციალი ეკონომიკის დარგის, კერძოდ ტურიზმის განვითარების თვლასაზრისით . მუნიციპალიტეტის მერიის მონდომებითა და ხელშეწყობით მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა ყველა ფლანგზე, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

ამ დროისთვის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არაერთი მღვიმეა აღმოჩენილი, მათი ნაწილის შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. აღმოჩენილ მღვიმეთა შორის არის ისეთი მღვიმეები, რმელიც გამოირჩევიან, როგორც მდებარეობითა, შთამბეჭდავი სილამაზით, ასევე ტოპონიმიკით ესენი გახლავთ: ფოთოლცვენის მღვიმე /2.5 კმ/, სიღრმე 340 მ. ხავერდოვანას უფსკრული /400 მ სიღრმე/ზესნახეს მღვიმე სიღრმე 2 კმ. შურუბუმუს მღვიმე /სიღრმე 320 მ/ მუხურის მღვიმე – სიღრმე 960 მ. კარსტოკრასტული მღვიმეები – ნაზოდელავო, ყალიჩონა, გარახა, სავეკუო. „მუხურის მღვიმე“, რომლის სიმაღლე 7 მეტრს აღწევს .- მნიშვნელოვანი ტურისტული სანახაობებს წარმოადგენს შურუბუმუს მღვიმე,რომელიც ოთხ სართულიანია. იქვე „პერიოდულად“ ჩამოედინება მდინარ დეიძახიზემით ხსენებული მღვიმეები იძლევა საშუალებას განვითარდეს სპალეოლოგიური ტურიზმი.

ლუგელის ხეობა დამშვენებულია უნიკალური საკემპინგე ადგილებით -ოცინდალე, მიგარის კირქული მასივი, ტობავარჩხილი. გარდა იმისა , რომ საკემპინგედ იდეალური ადგილებია, აღნიშნული წერტილებიდან იშლება საოცარი ხედები,სადაც სამომავლოდ მოეწყობა გადასახედები და მოსასვენებელი კუთხეები.

ლუგელის ხეობის შემავალი ნაწილია ულამაზესი ტბები „ცაშვიბული“ და „ტობავარჩხილი“, რომლის მიდებარე ტერიტორიაზე ოთხივე მხარეს ერთდროულად თავსიყრის წელიწადის ოთხივე დრო-გაზაფხულიზ, ზაფხულიც შემოდგომაც და ზამთრიც.

ხობისწყლის ხეობა გამოირჩევა ულამაზესი ე.წ დიდლეს ჩანჩქერებით, იმავე ხეობაშია ღუნჯისადა გვალაშარას ჩანჩქერი.

სამომავლოდ ლუგელას ხეობაში მოეწყობა ზიპლაინების პარკი და სამთო ტურიზმით დაინტერესებულ პირებს ექნებათ განტვირთვისა და მოსვენების საშუალება .აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კუთხით აქტიურად მუშაობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია .

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეპოვება უნიკალური საეკლესიო ძეგლები, რაც იძლევა საშუალებას მიიზიდოს პილიგრიმები . მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული ძეგლები,ოცინდალეს წმინდა გიორგის მამათა მნასტერი რომელიც ზღვის დონიდან 640 მ-ზე მდებარეობს და მე-11 საუკუნით თარიღდება. აღნიშნულ ლოკაციაზე იგეგმება გადასახედებისა და მოსასვენებელი წერტილების მოწყობა.ასევე საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა განთავსებული კოლხური კოშკი, ოჩხომურის მაცხოვრის ადდგომის ეკლესია.სოფელ ახუთის ღვთისმშობლის ეკლესია.

რეგიონს აქვს პოტენციალი მიიზიდოს ტურისტები როგორც „აგრო ტურიზმის“, ისე გასტრო ტურიზმის თვალსაზრისით, ს. მუხურში არის ე.წ გესთჰაუზები, სადაც შესაძლებელია ტრადიციული მეთოდით დამზადებული კერძების დაგემოვნება და ამავდროულად მოსვენება. ასევე სტუმრებს აქვთ შესაძლებლობა თავად გაეცნონ თავლის დაწურვის ტრადიციულ ცერემონიას. სტუმრებს აქვთ შესაძლებლობა საწნახელში დაწურონ უძველესი ყურძნის ჯიშები და დააყენონ ღვინო

მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს სათევზაო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით . მდ ხობისწყალი და ოჩხომური იძლევა რესურს აქტიურად განვითარდეს მეთევზეობა ადგილობრივ დონეზე.

მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩაბმული ხელი შეუწყოს რეგიონის მასშტაბით ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებას და ძალღონეს არ იშურებს მისი განვითარებისათვის. ამ მიზნით აქტიურად ეწყობა ახალგაზრდული ლაშქრობები ლუგელასა და ოცინდალეს ხეობაში.

ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ ს. მუხურში მიმდინარეობს 5 ფემენებელური სასტუმროს მშენებლობა და იქვე ლუგელას ხეობაში შენდება ჰესი, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს , გარდა აღნიშნული სიკეთისისა ჰესი იქნება უნიკალური სანახაობა ტურისტებისათვის.

სოფლის მეურნეობა

როგორც ცნობილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის #224 განკარგულების საფუძველზე „ ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ “ ფარგლებში ისევ განახლდა და მიმდინარეობს მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

შესაბამისად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა თერმული ნისლის აგრეგატებით აღჭურვილი ტექნიკის მუშაობა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე. ასევე ცივი შესხურების აგრეგატებით აღჭურვილი ტექნიკით ფერომონების დამუშავება . სულ 13- ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსდა 2825 ცალი ფერომონი . ასევე მაღალი გამავლობის ტრაქტორებით ცივი შესხურების მეთოდით დამუშავებული იქნა 1122 ჰექტარი სიმინდის მასივები და შედეგად მოსახლეობამ მიიღო უდანაკარგოდ დაუზიანებელი მოსავალი.

ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს მავნებლის საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებების გეგმა და მუშაობა მიმდინარეობს სწორედ ამ გეგმის მიხედვით.

ასევე „ მოიზიდე და მოკალის “ პრინციპის მიხედვით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში უზნების მიხედვით განთავსებულია 1150 ცალი წერტილოვანი ფერომონები და პერიოდულად მიმდინარეობდა მათი ქიმიური დამუშავება.

მოსახლეობის უკეთ ინფორმირებულობის თვალსაზრისით დარიგებულია 3500 მდე საინფორმაციო ბუკლეტი.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მუშაობს 146 -ერთეული ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი ,დასაქმებულია 292 -კაცი.

ამ ეტაპისათვის წინა წლებთან შედარებით მავნებლის გავრცელება საგრძნობლად შემცირდა , მაგრამ ბოლო პერიოდში შეინიშნება მავნებლის ახალი თაობის გამრავლება და სწორედ ამიტომ საგრძნობი ეფექტის მისაღებად მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა ტექნიკის მაქსიმალური რაოდენობის მობილიზება და ერთდროულად ადმინისტრაციული ერთეულის ყველა უზნის ქიმიური დამუშავება. ასე რომ წამლობის ნორმალურად ჩატარებისათვის მუნიციპალიტეტში ყველა რესურსი იქნა მობილიზებული და გამოყენებული. ამ სამუშაოების ჩასატარებლად მხარდაჭერისა და ორგანიზების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ჩვენი სამსახურის სამივე წევრის შემადგენლობით და მიმდინარეობდა აქტიური საქმიანობა. უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აგროსექტორის განვითარებას .იმდენად ,რამდენადაც აგროსექტორი მოსახლეობისათვის წარმოადგენს როგორც შიდა მოხმარების დარგს, ასევე მიმდინარეობს მცირე რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილზე რეალიზება.

მემცენარეობიდან ყველაზე მეტად განვითარებულია მესიმინდეობა, მეთხილეობა. თხილის კულტურამ მოიცვა ძირითადი ფართობები და შეიძლება ითქვას, რომ ეს კულტურა ჩვენი და არამართო ჩვენი მოსახლეობისთვის, სტრატეგიული დატვირთვის მქონე მცენარეა, რომლის შემოსავალზეც არის დამოკიდებული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. მცირე რაოდენობა

დარჩა გამოსაყვანი ჩაის პლანტაციებისა. სუბტროპიკული მცენარეებიდან ყურადღება ექცევა ლიმონის, ხურმის, კივის, ფეიჰოს პლანტაციების გაშენებას. უპირატესობა მდგომარეობს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების არსებობაში, ყინვა გამძლეობა და მაღალმოსავლიანობაში. ერთეულმა ფერმერებმა წარმატებით აითვისეს ამ კულტურების მოყვანის ტექნოლოგიები. კივის ჯიშებიდან უფრო აშენებენ ჰაიუვარდს, ხურმის ჯიშებიდან ჰაჩიას, განსაკუთრებით საინტერესოა მსხვილნაყოფა ჯიშები. მოჰყავთ ასევე თესლოვანი (ვაშლი, მსხალი) კაკლოვანი და კენკროვანი კულტურა მარწყვი, კურკოვნებიდან (ტყემალი და ატამი). აღნიშნული კულტურების გაშენება ხდება არამარტო სამრეწველო პლანტაციების სახით, არამედ ერთეული ნარგავების სახით. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაგალა ჯიშებს, ანუ ინტენსიური ბაღების გაშენებას.

მევენახეობა ჩვენს მუნიციპალიტეტში ტრადიციული დარგია. მოსახლეობას მოჰყავს სხვადასხვა ყურძნის ჯიშები, როგორც თეთრი ასევე წითელი ყურძნისა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძველი მეგრული ჯიშების გამრავლება, რომლის აღდგენას ხელი შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაშენებულმა სანერგე მეურნეობამ, სადაც ხდება ძველი ენდემური ჯიშების გამოყვანა-აღდგენა და გამრავლება.

შესაბამისად ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ხარისხიანი ღვინის წარმოებას და აგრო ბიზნესის განვითარებას.

სასათფურე მეურნეობები ძირითადად არის ბოსტნეული კულტურებისთვის, როგორც შიდა მოხმარების ასევე სარეალიზაციოდ. უფრო განვითარებულია ჩითილების გამოსაყვანი სასათბურე მეურნეობები, როგორც ღია ისე დახურულ გრუნტში. ეს დარგი მაღალი რენტაბელობით ხასიათდება, მეცხოველეობიდან განვითარებულია მესაქონლეობა, მეთხეობა, მეფრინველეობა. აქტუალურია მეგრული წითელი ჯიშის საქონლის მოშენება, რომელიც გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით. რაც შეეხება მეფუტკრეობას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ეს დარგი დიდად ფასობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტრადიციებიდან გამომდინარე. არის ფერმერები, რომლებიც წლებია ეწევიან მეფუტკრეობას, აქვთ დაგროვილი ფუტკრის მოვლისა და სანაშენ-სადედე ფუტკრის გამოყვანის დიდი გამოცდილება და ეს ცოდნა ცალკეული ფერმერებისათვის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მეფუტკრეობას უნდა დაუბრუნდეს სანაშენო მნიშვნელობა, რომლის ტრადიცია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ისტორიულად არსებობს. ასე რომ აუცილებელია გამოიყოს პრიორიტეტული მნიშვნელობის კატეგორიები და წარმოგიდგინოთ იმ დარგების ჩამონათვალს რომლის განვითარებაა სასურველი დღევანდელი შესაძლებლობების გათვალისწინებით:

- 1, მესიმინდეობა
- 2, მეთხილეობა
- 3, მეცხოველეობა
- 4 მეჩაიეობა
- 5, მოცვისა და ჟოლოს კულტურების ფართოდ დანერგვა.

6. მეფუტკრეობა,

7. მევენახეობა,

მესიმინდეობა:

სიმინდის კულტურა მუნიციპალიტეტში ითესება 2412 ჰექტარზე. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 1,5 ტონას. წარმოებული პროდუქციის მოცულობა 3600 ტონა. მიღებული მარცვლის 14-15% გამოიყენება სარეალიზაციოდ, დანარჩენი კი-შიდა მოხმარებისათვის. ასეთი ფართობების ათვისების შესაძლებლობა მცირეა, ამიტომ მნიშვნელობა ეძლევა ინტენსიფიკაციის პროგრამის განხორციელებას. დამატებითი კაპიტალ-დაბანდების სისტემის სრულყოფას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის მოკირიანების გამოყენებას.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახნავი გვერიცხება სულ- 2412 ჰექტარი. ამ ფართობების დასამუშავებლად 2020 წელს -გამოყენებულ იქნა ძირითადად სოფლების მიხედვით რიცხული 58- ერთეული სასოფლო -სამეურნეო ტრაქტორი, რომლის აბსოლიტური უმრავლესობა არის მოძველებული, გაცვეთილი და მუშა პროცესის დროს ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან . გამომდინარე აქედან ვერ მოვასწართ როგორც ხვნის , ასევე თესვის პროცესების ჩატარება აგროვადებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში 2021წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად ჩასატარებლად დამატებით გამოგვიყოს 6 (ექვსი) ერთეული ტრაქტორი. ამ ექვსი ერთეული ტრაქტორიდან ერთი აუცილებლად უნდა იყოს მუხლუხა ტრაქტორი, რომელიც იმუშავებს მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში : კირცხში; ლეწურწუმეში ახუთში და ნაკიანში. ამ სოფლებში არსებული რთული რელიეფური პირობების გათვალისწინებით.

მეთხილეობა:

მეთხილეობა მუნიციპალიტეტში ყველაზე უფრო განვითარებული დარგია. ჩაის პლანტაციებიდან გამონთავისუფლებული ფართობები ძირითადად დაკავებულია თხილნარით, მისი მთლიანი ფართობი 5020ჰექტარს შეადგენს.

წარმოებული პროდუქციის მოცულობა 6000 ტონაა, მიღებული თხილის მოსავლის 95-96 % გამოიყენებულია სარეალიზაციოდ. ფასები პერიოდების მიხედვით განსხვავებულია. მოსავლიანობის დონე მეთხილეობაში ჯერ კიდევ დაბალია, რაც გამოწვეულია აგროტექნიკის დაბალი დონით, ჯიშობრივი შემადგენლობის არასათანადო შესწავლით, საჭირო გახდა:

- თხილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის ცოდნის ამაღლება.
- ნიადაგის ხარსიხობრივი მაჩვენებლების საფუძვლიანი შესწავლა.
- მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

აქ უდავოდ დიდი როლი ითამაშა „თხილის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად “თხილის მწარმოებელთა ასოციაციის რეკომენდაციების გათვალისწინებამ მოსახლეობის მიერ. შექმნილია 237- სამუშაო ჯგუფი,შემოტანილია 237-შესაწამლი

აგრეგატი. ამ ჯგუფებისათვის შემუშავებულია წამლობის სქემა და მთელი ეს სისტემა მუშაობს ფერმერის დასახმარებლად .ამ პროექტს ემსახურება 21- აგროკონსულტანტი. წამლობა ჩატარდა ასოციაციის მიერ დამუშავებული და ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით რომელმაც დადებითი შედეგი გამოიღო. მომავალი წლისათვის ეს პროცესები უფრო დახვეწილი ფორმით ჩატარდება. ფაქტია დღეს სამეგრელოში თხილი სტრატეგიული კულტურაა და ის შემოსავლის ძირითად წყაროდ გვევლინება.

მეცხოველეობა:

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის დიდი ტრადიციები არსებობს , რომელსაც გაღრმავება და განვითარება სჭირდება.

დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მიზეზი არის ჯიშობრივი შემაღენლობა, მაღალი ხარისხის საკვების უზრუნველყოფისათვის საჭიროა რესურსების სიმწირე. რძის პროდუქტები ძირითადად განსაზღვრულია საკუთარი წარმოებისათვის. ტრადიციულად კვლავაც უნდა გაძლიერდეს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მეგრული ჯიშის საქონლის სანაშენე მეურნეობა, ჯიშების შერჩევისას მუშაობა უნდა წარიმართოს მერძეული, მეხორცეული და შერეული მიმართულებებით.

- მუნიციპალიტეტის კერძო სექტორში ოჯახებზე რიცხული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 16310 სულს შეადგენს .მათ შორის ფურია 6324 სული. წველადობის მოცულობა დღე-ღამეში შეადგენს 4,5 ლიტრია. მუნიციპალიტეტის 5-სოფელში : ნაფიჩხოვოში , თაიაში , მუხურში , ჭოლასა და კირცხში -ირიცხება მომთაბარე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი -854 სული .აქედან ფურია 339. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ,, მეცხოველეობის განვითარების ცენტრი “- რომლის მიზანია მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოყვანა მათი ჯიშობრივი გაუმჯობესების გზით.მეცხოველეობის მოდერნიზაციის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა მსხვილფეხა საქონლის მფლობელი 115 ფერმერი ,აქედან ჯერჯერობით დაფინანსებულია მხოლოდ -3 . სოფ.ჭოლადან,;სოფ.ლეწურწუმედან და სოფ.ახუთიდან.ამ მხრივ რესურსები გვაქვს.

მეჩაიეობა: მუნიციპალიტეტში სათანადო ყურადღება ექცევა ჩაის კულტურას. სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დახმარებით შეიქმნა ერთი შპს და ორი კოოპერატივი. ესენია: რ.კ. „კოლხური თაიგული“; რ.კ. „მეგრული ჩაი-2018“; შ.პ.ს. „კოლხი-2018“.მთლიანობაში გამოყვანილია 80 ჰა. ჩაის პლანტაცია. დასაქმდა 103ადგილობრივი მოსახლე. შესაძლებელია ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება და სამომავლოდ 115 ჰა ჩაის პლანტაციის გამოყვანაზე ვიფიქროთ. სამომავლოდ ჩვენი სამსახური განაგრძობს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გავლურებული ჩაის ფართობების მოძიებას და მათი ჩართვას ჩაის რეაბლიტაციის სახელმწიფო პროგრამაში.

მოცვი, ჟოლო:

მოგეხსენებათ , საქართველოს მთავრობის განკარგულებით , სამთავრობო პროგრამას - „ დანერგე მომავალი” - დაემატა ქვეკომპონენტი „ კენკროვანები . ამ მხრივ ფერმერები სრულად არის ინფორმირებული.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში კარგი ბუნებრივი „კლიმატური პირობებია მოცვისა და ჟოლოს პლანტაციების გასაშენებლად .ჟოლო გაშენებულია- 4000 კვ. მეტრზე. ლურჯი მოცვი გაშენებულია-8,65 ჰა.ზე.; მიმდინარეობს ლურჯი მოცვის გაშენება 35 - ჰექტარზე.

მეფუტკრეობა:

მდინარე ხობისწყალის ხეობა წარმოადგენს ქართული მთის რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაციის გავრცელების ბუნებრივ არეალს.ეს არის პერსპექტიული ,ტრადიციული და უნიკალური სახეობა და მას განვითარება სჭირდება. ამასთან ამ ტერიტორიაზე წარმოებული თაფლი წარმოადგენს ბიო-პროდუქტს და ჯანრთელობისათვის სასარგებლოა. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გვყავს - 333 მეფუტკრე და ფუტკრის სკების რაოდენობა შეადგენს- 7084.

მევენახეობა:

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადრეული პერიოდიდან იყო გავრცელებული მეგრული (კოლხური)ვაზის ჯიშები როგორცაა: ოჯალეში;ჭვიტილური; პანეში; აბშილური;ჩეჭიფეში;ჩერგვალი;გრეხი ;ეგურბგური;კეთილური.

ეს ჯიშები გავრცელებული იყო აგროკლიმატური მაჩვენებლების შესაბამისად ,მათ შორის ზღვის დონიდან 210 მეტრზე (სოფ. ახუთი)

ასევე გაცნობებთ რომ სოფ. ლესიჭინეში (ზურემის უბანი) მეღვინეობა „ხარებას“წარმომადგენლებს ჩხოროწყუში განზრახული აქვთ 87-ჰექტარზე გააშენონ ოჯალეშის ჯიშის ვაზი. სამუშაოები უკვე დაწყებულია და დღევანდელი მდგომარეობით 6-ჰექტარზე 16-ათასი ძირია გაშენებული ; გაცნობებთ რომ, სოფ. მუხურში (ბელერისა და ზინდის უბნებში) სახელმწიფო მიწებზე -30,5 ჰექტარზე შესაძლებელია მეგრული ვაზის ჯიშების გაშენება .

საყურადღებოა ის ფაქტი რომ სოფ.ნაკიანში დღესაც შემორჩენილია კაჭიჭისა და ხარდანის უძველესი ჯიშის ვაზი. დღევანდელი მდგომარეობით სოფ. ნაკიანში 10-ჰექტარი სახელმწიფო მიწებზე შესაძლებელია მეგრული ვაზის ჯიშების გაშენება.

S.P. დღევანდელი მონაცემებით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო მიწებზე - 40,5 ჰექტარზე ტიპიურ ნიადაგებზე,შესაბამისი აგროკლიმატით , შეიძლება გაშენდეს ენდემური ,მეგრული ვაზის ჯიშები . ხოლო სათანადო ხელშეწყობის პირობებში მოსახლეობის ნაწილი მზად არის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე გააშენოს უძველესი მეგრული ვაზის ჯიშები

ფაქტია დღეს მუნიციპალიტეტში თხილი სტრატეგიული კულტურაა და ის შემოსავლის ძირითად წყაროდ გვევლინება მაგრამ სამომავლოდ , ეტაპობრივად ფერმერებთან ერთად სხვა კულტურებით ჩანაცვლებაზე უნდა ვიფიქროთ. უნდა შეიქმნას მორგებული პროგრამები , სადაც მნიშვნელოვან ადგილს დაფნის კულტურა, პოპულარული კოლხური ენდემური

ჯიშის ვაზი, გამორჩეული ჯიშის ჩაის პლანტაციები , კაკლოვანი და კენკროვანი მრავალწიანი მცენარეები დაიკავებენ . ამ კუთხით გადამწყვეტი სიტყვა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა უნდა თქვან.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრარულ სფეროში დასაქმებული მოსახლეობიდან შემოსული განცხადებებზე დროულად რეაგირების საკითხს . განცხადების ავტორებს ადგილზე ეძლეოდათ განმარტებები და რჩევა - დარიგება მათთვის საჭირობოროტო საკითხებზე.

2020 წელს პროექტ „დანერგე მომავალით“ დაფინანსდა 22 ბენეფიციარი .ფართობი 41 ჰა - 123 000 ძირი ლურჯი მოცვი. 0,8 ჰა -4100 ძირი ჟოლო 11ჰა ვენახი. (ოჯალიშის ძირი) 3 3000 ძირი.

პროგრამა „მერძვეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა“ - დაფინანსდა და საქონლის სადგომი აუშენეს 6 ბენეფიციარს თანხა ჯამში 121 000 ლარს შეადგენს.

ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“ გამოყვანილიქნა 25 ჰა ჩაის პლანტაცია. ამუშავდა 2 ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა.

მიმდინარეობს „აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამა“ , რომელიც ფერმერებს დიზელს შელავათიან ფასებში სთავაზობს. ყოველ ერთ ჰა-ზე 150 ლიტრი.